



ინტენსიური განყოფილების ექთნის კურსი



კურსის ხანგრძლივობა არის 4 კვირა. საათების განაწილება: 4 საათი დღეში, 5 დღე კვირაში, 4 კვირის განმავლობაში. მინიმუმ 20 კლინიკური საათი

პროგრამის კლინიკური კომპონენტი ჩატარდება თბილისში, ნ. ყიფშიძის სას. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის ინტენსიურ მოვლის განყოფილებაში.

კურსის დასრულების შემდეგ ექთანი შეძლებს:

საექთნო მოვლის იდენტიფიცირებას, პაციენტის და ოჯახის წევრების საჭიროებების განსაზღვრას და წარმატებულ მოვლას სისტემური გახინჯვის, შეფასების, კრიტიკული მოვლის პრინციპების გათვალისწინებით ეფექტიანი მოვლის დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კერძოდ, ექთანი ისწავლის:

- ტრამეული დაზიანებების მქონე პაციენტების მოვლას
- გულსისხლძარღვთა სისტემის მწვავე დაავადებების დროს პაციენტთა მოვლას (შეფასება, საექთნო მოვლის გეგმის განსაზღვრა)
- ქირურგიული პაციენტების მოვლას
 - კარდიო ქირურგიული პაციენტი
 - აბდომინალური ქირურგიული პაციენტი
 - ნეიროქირურგიული პაციენტი
 - ტრამეული დაზიანებების მქონე პაციენტი
 - პოსტოპერაციული პაციენტი

სასუნთქი სისტემის დაავადებების მქონე პაციენტების მოვლას, მათ შორის მართვით სუნთქვაზე მყოფი პაციენტის მოვლას



საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების მქონე პაციენტების მოვლას (მაგ., სისხლდენა)თირკმლის მწვავე უკმარისობის მქონე პაციენტების მოვლას სეპტიური, პიპოლოლემიური და კარდიოგენული შოკის დროს პაციენტთა მოვლას

პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევას (CPR, დეფიბრილაცია)

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლით გამოწვეული დაავადებების მქონე პაციენტთა მოვლას

ყველა აღნიშნული ტიპის პაციენტის მოვლა სორციელდება მტკიცებულებებზე და-ფუძნებული პრაქტიკული უნარჩვენების შესახებ რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ექთანი შეძლებს:

სასწრაფო და გეგმიური მანიპულაციებისთვის პაციენტთა და პაციენტის ოჯახის წევრების მომზადებას(განათლება) სასწრაფო და გეგმიური მანიპულაციებისთვის საჭირო აღჭურვილობის გამზადებას და გამოყენებას



შესაბამისი ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევებისათვის პაციენტის მომზადებას

შეიძენს ინფექციის კონტროლის შესახებ თანამედროვე რეკომენდაციების გათვალისწინებით საექთნო მოვლის უნარჩვენებს

ისწავლის პაციენტის ფიზიკური შეფასების მეთოდებს,

ICU -ში შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრით

ისწავლის მედიკამენტოზური თერაპიის პრინციპებს, საჭირო აღჭურვილობის გამოყენების წესს (შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით):

მედიკამენტების ადმინისტრირების გზებს; მედიკამენტების ფარმაკოლოგიურ მოქმედებებს; მედიკამენტების განზავებისა და ადმინისტრირების წესებს



+995 32 244859; +995 32 747408;

პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისთვის ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა